პურის სუნი



რის ჯამა გიყვარს? რატომ?

გია ოთახში ზის. ის ფაზლს აწყობს.

ოთახში მამა შემოდის. მამას ჩანთა მოაქვს.

ოთახში პურის სუნია. გიას უყვარს ახალი პური.

გია სამზარეულოში გადის.

მაგიდაზე ახალი, თბილი პური დევს. ახალი პური თბილია!

გია აღებს მაცივარს. მაცივარში ბევრი პროდუქტია.

გია ფიქრობს: „რა ავიღო, ყველი თუ ძეხვი? კარაქი თუ ჯემი? კი, ჯემი!

პური და ჯემი კარგია!“

გია ჯემს იღებს და პურზე უსვამს.

გია ოთახში გადის.

მაგიდაზე ახალი ფაზლი დევს. ახალი ფაზლი კარგია!

დონე: B დაწყებითი

რა აქვს გიას ახალი?
ვინ მოუტანა?

ტექსტის გაგება

1 რას აკეთებს გია ოთახში?

ა) მანქანას ხატავს.

ბ) ფაზლს აწყობს.

გ) წიგნს კითხულობს.

2 რა მოაქვს მამას ჩანთით?

ა) ახალი კარაქი. ბ) ახალი პური. გ) ახალი ყველი.

3 სად დევს ახალი პური?

ა) თაროზე. ბ) მაგიდაზე. გ) მაცივარში.

4 რატომ გადის გია სამზარეულოში?

ა) სამზარეულოში ახალი თბილი პურია.

ბ) სამზარეულოში არის გიას მამა.

გ) სამზარეულოში ახალი ყველი და კარაქია.

5 რომელია სწორი ინფორმაცია?

ა) გია პურზე კარაქს უსვამს.

ბ) გია პურზე ჯემს უსვამს.

გ) გია მაცივრიდან ძეხვს იღებს.

6 რის შესახებ <u>არ არის</u> ინფორმაცია ტექსტში?

ა) რა დევს მაცივარში.

ბ) რა ახატია ფაზლს.

გ) როგორია ახალი პური.

▶▶▶ ლექსიკა

1 დაასრულე წინადადება.

კარაქი, ყველი, ძეხვი არის _____ .

2 რომელი <u>არ არის</u> რძის პროდუქტი?

ა) კარაქი. ბ) ყველი. გ) ჯემი.

3 სამზარეულო არის ოთახი, სადაც:

ა) არის პროდუქტი.

ბ) თამაშობენ ფაზლს.

გ) სწავლობენ გაკვეთილს.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე სწორი ფორმები.

1. გია აღებს ----------.

   ა) მაცივარი. ბ) მაცივარმა. გ) მაცივარს.

2. ---------- მოაქვს ჩანთა.

   ა) მამა. ბ) მამამ. გ) მამას.

3. გია ჯემს უსვამს ----------.

   ა) პურზე. ბ) პურთან. გ) პურში.

გრამატიკა

2 რომელია სწორი?

ა) მაცივარში ბევრი პროდუქტია.

ბ) მაცივარში ბევრი პროდუქტებია.

3 ჩაწერე მრავლობით რიცხვში:

მხოლობითი	მრავლობითი
ოთახი	_____
მაგიდა	_____
პროდუქტი	_____
ჩანთა	_____

წერა

დაწერე შენი საყვარელი 5 საქმელი.

დახატე შენი საყვარელი საქმელი.